ოქმი N9

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2017 წლის 17 მაისი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 14

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 14

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. ნუგზარ შუშანია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. თენგიზ აბაკელია
8. თემურ გულუა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. ედიშერ წურწუმია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 16 მაისის N04/1809 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 16 მაისის N04/1809 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საჩოკორაიოს უბანში ქუჩის კეთილმოწყობის (ცემენტობეტონი) სამუშაოების შესყიდვაზე, ხობის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 2017 წლის 2 მაისის N4 სხდომის ოქმით შპს „შარა-გზამშენი პირველი“ გამოვლინდა გამარჯვებულად, ხოლო 2017 წლის 11 მაისის N6 სხდომის ოქმით გამარჯვებული ორგანიზაცია მოწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად, მათვე 2017 წლის 11 მაისის წერილით ეთხოვათ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 10%-იანი გარანტიის წარმოდგენა. გამომდინარე იქიდან, რომ მიმწოდებლის მიერ დაფიქსირდა შესყიდვის საბოლოო თანხა 560000,00 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტი შეადგენს 540135,00 ლარს, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის გამგებელს ეძლევა თანხმობა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე. გამომსვლელის განცხადებით, განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა